ჩემპიონატი

დაამატა **ერლან მანაშევმა**
http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8

"დინამო" (თბილისი) - "დინამო" (მოსკოვი) - 2:2 (2:1)
30 მაისი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 40 000 მაყურებელი.
მსაჯი ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი).
გოლები: 1-0 ბერძენიშვილი (20), 2-0 ბერეჟნოი (33), 2-1 რატნიკოვი (44), ბელოუსოვი (86).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე(კ), ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, გოგუა, გავაშელი, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"დინამო" (მოსკოვი): აკიმოვი, ტეტერინი, კორჩებოკოვი, კოროტკოვი, კაჩალინი, ჩერნიშოვი, რატნიკოვი, სემიჩასტნი, შჩერბაკოვი (ბელოუსოვი, 70), იაკუშინი, ილინი(კ).

ორი "დინამოს" მატჩი

30 მაისს, ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე მოსკოვისა და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა ჩაატარეს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეოთხე კალენდარული მატჩი ფეხბურთში. სტადიონის ტრიბუნებზე ტევა არ არის. მოსკოველ მსაჯის – კუზნეცოვის გამოჩენამ შესწყვიტა კამათი და მსჯელობა მაყურებლებში.

დაიწყო თამაში. თბილისის "დინამოს" თავდამსხმელები სწრაფი იერიშით შეიჭრნენ მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე და აწარმოებენ მთელ რიგ შემტევ ბრძოლებს. მეკარე აკიმოვს ერთი წუთის განმავლობაში უკვე ორი საშიში ბურთის აღება მოუხდა. მოსკოვის "დინამოს" უძლიერეს დამცველს ორდენოსან კორჩაბეკოვსაც მოულოდნელი ჯაფა დაადგა მარჯვენა გარემარბ თ. გავაშელის და ნახევრად შუამარბ მ. ბერძენიშვილის ხშირი "სტუმრობით". თბილსელთა იერიში გრძელდება. მესამე წუთზე ბერეჟნოიმ, პაიჭაძემ და ბერძენიშვილმა ზუსტი გადაცემებით საჯარიმო მოედნამდე მიტანილი ბურთი გადასცეს სომოვს, ამ უკანასკნელმა კარისგან ოთხი მეტრის დაშორებით დაუბრუნა ის ცენტრალურ სამეულს, მაგრამ არ დაიბნა გამოცდილი მეკარე – აკიმოვი და სხარტი ნახტომით ფეხებიდან ააცალა დასარტყმელად გამზადებული ბურთი ბერეჟნოის. გადარჩა მოსკოველთა კარი პირველი ბურთისაგან.

უპირატესობა თანდათან მოსკოველთა მხარეზე გადადის. სტუმრებმა ალღო აუღეს თბილისელთა ტექტიკურ თამაშს და შესამჩნევად შეავიწროვეს ისინი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცხენა ნახევრადშუამარბის – იაკუშინის ზუსტი გადაცემები და თავით თამაში, კარგად ანაწილებდა და გარღვევის ოსტატობას იჩენდა თავდასხმის ცენტრი – სემიჩასნი და მარჯვენა გარემარბი. დოროხოვის ვირტუოზული თამაშით მე-16, მე-17 და მე-20 წუთზე თბილისელთა კარი გადარჩა მეტად საშიშ მდგომარეობისაგან. ამ დღეს მან შესანიშნავი თამაში გამოამჟღავნა.

მე-21 წუთზე დაცვიდან მიღებული ბურთით პაიჭაძე აკეთებს რამდენიმე დრიბლინგს და ზუსტად აწვდის სომოვს. ეს უკანასკნელი მოხერხებულად არღვევს ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზს და ახლო მანძილიდან აწვდის თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთას. აქ ბურთს თითქოს წინასწარ გამოზომილ ადგილზე დახვდა მ. ბერძენიშვილი და ირხევა ბადე – 1:0 თბილისის სასარგებლოდ.

სტუმრებმა პირველ დამარცხებას კონტრშეტევით უპასუხეს. მე-27 წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილ იაკუშინს დოროხოვმა თავიდან ააცილა სრულიად მოულოდნელი და მეტად სახიფათო ბურთი. მოსკოველთა შეტევა გრძელდება, მე-35 წუთზე სემიჩასნისაგან მიღებული ბურთით გარღვევაზე გადის ილინი, შეიქმნა საერთო შთაბეჭდილება თითქოს გათანაბრდა ანგარიში, მაგრამ ბურთი მხოლდო გარედან მოხვდა ბადეს და გაიჭრა მოედანს გარეთ.

მე-36 წუთზე სახიფათო მომენტს გადარჩენილი დოროხოვი აგზავნის ბურთს მოედნის ცენტრში. ფროლოვის და პაიჭაძის გადაცემების შემდეგ ის მიიღო გავაშელმა. მოსტყუვდა მარცხენა ნახევარდამცველი და კორჩაბეკოვი. გარღვევაზე გასულმა გავაშელმა მოფიქრებულად გადასცა ბურთი კარისაკენ. აკიმოვმა ვერ შესძლო მაღალი ბურთის აღება. ამ მომენტით ისარგებლა ბერეჟნოიმ და თაური გარტყმით გაადიდა ანგარიში.

მოსკოველებმა ტაიმის “დამთავრებამდე” მსაჯ ვ. კუზნეცოვის დახმარებით (მან გაადიდა დრო) შესძლეს მე-46 წ. 15 წამზე ერთი ბურთის გატანა. პირველი ტაიმი დამთავრდა – 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი დაიწყო მოსკოველთა უპირატესობით. როგორც მატჩმა გვიჩვენა მათ კარგად აუთვისებიათ ბასკთა ტაქტიკური თამაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გრძელი და ზუსტი გადაცემები, თავით თამაში, თავდამსხმელების ერთდროული შეტევა და სხვა. მათ თამაშს აკლდა ზუსტი და ძლიერი დარტყმა კარში და ემატებოდა ოსტატებისათვის მიუტევებელი უხეშობა, რომელსაც მსაჯი კუზნეცოვი რატომღაც არ აქცევდა თავის დროზე ყურადღებას. კიდევ მეტი: მას ყველასათვის აშკარა პენალტიც კი “გამორჩა მხედველობიდან” და სხვ.

მოსკოველებმა მე-38 წუთზე ისარგებლეს დაცვის მარჯვენა ფრთის შეცდომით და ილინის მიერ მოწოდებულ ბურთით შესძლეს ანგარიშის გათანაბრება.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

თბილისელებიდან სუსტად თამაშობდა ნახევარდაცვა, კერძოდ – გაგუა. კარგი თამაში გვიჩვენეს ჭუმბურიძემ და თავდასხმის ხუთეულმა.

ვ. ბ-ლია.
“მუშა”, 31 მაისი, 1938 წ.